№ 22 იანვარი 30, შაბათი 1888 იანვარი 30, შაბათი № 22

# ივერია

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვით რედაქციას, ახალი ბებუთოვის ქუჩ., სახლ № 9, ბ. ნ ხიდირბეგიშვილის სახლი... ვინც უნდა მიჰმართონ: ... გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მოწყობილი. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები, ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—3)

---

**დღეს, 30 იანვარს,**

ქართულის თეატრის დარბაზში ტფილისის მე-2 კლასიკურ გიმნაზიის საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ

**შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ**

გამართული იქნება:

**ლატარია-ალლეგრი**

და

**საცეკვაო საღამო.**

დილით საღამოს 6-დგან 12 საათამდე ლატარია-ალლეგრიზედ შესვლა ჰღირს 20 კაპ., საღამოს 9 საათიდგან-კი ალლეგრისა და საცეკვაო საღამოზედ—1 მან., ლოჟები—6 და 4 მან., ლატარიის ბილეთები ჰღირს თითო 20 კაპ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის, მოცეკვავეთათვის-კი სავალდებულოა, რომ სამოქალაქო წოდებისას ფრაკები ეცვათ და სამხედროსას—სამხედრო სერთუკები ეპოლეტებითა.

---

ტფილისი, 29 იანვარი

ჩვენ ვსთქვით, რომ მეცნიერებმა წამალი უპოვეს მილდიუსა და გვარწმუნებენ, რომ უებარი წამალიაო. ხოლო ამას გვირჩევენ, რომ სენის გაძლიერებას-კი არ უნდა ვუცადოთ, არამედ მაშინვე მივყოთ ხელი წამლობას, რა წამსაც სადმე ვაზს, თუნდაც შიგა და შიგ, აჩნდება სენი. ნიშნები ხომ, რაც შევიძელით, ვრცლად ჩამოვთვალეთ და თუ კაცმა ბეჯითობა იქონია, ამ ნიშნებით ადვილად შეატყობს სენის გამოჩენას და მოვლენას. ამასთან ამასაც გვავალებენ, რომ თუ ვენახის პატრონმა ერთს ვაზს მაინც შეამცნია ავადმყოფობა, მაშინვე მთელს ვენახს უნდა დაუწყოს წამლობა და არა მარტო სნეულს ვაზსაო. გარდა ამისა ახლო-მახლო ვენახის პატრონებიც, თუნდაც სნეულების ნიშანი იმათს ვენახებში არ იყოს, უნდა შეუდგნენ თავის ვენახების წამლობას. ჩვენ უკვე ვიცით, რა უეცრად და რა სისწრაფით ვრცელდება ეს საშინელი ჭირი ვენახისა და ამიტომაც უსნეულო ვენახების წამლობა მარტო მეტის-მეტი სიფრთხილე-კი არ არის, არამედ აუცილებელი საჭიროებაა.

სენს ყოველგან მალე უნდა მისწრება, დასაწყისშივე უნდა შველა, ნამეტნავად ამისთანა ჭირს, როგორიც მილდიუა, რომელსაც, თუ გაძლიერდა, აღარა წამალი არ ეკიდება და კაცმა ვენახზედ ხელი უნდა აიღოს.

წამალი მილდიუსი სპილენძის შაბიამანია (мѣдный купоросъ). ამისათვის მთლად ლურჯი შაბიამანია სპილენძისა გამოსადეგი: არამც და არამც თეთრი ლაქები არა ჰქონდეს, ან მწვანე ფრად არა სცემდეს, ერთ ნაირად ლურჯი უნდა იყოს. რამოდენადაც წმინდაა სპილენძის შაბიამანი, იმოდენად უებარი წამალია. რკინის შაბიამანიც არის (желѣзный купоросъ), მაგრამ ეს წამლად სულ არვარგა, უსათუოდ წმინდა და შეურყეველ სპილენძისა უნდა.

ერთს თიხის ჭურჭელში, ან სპილენძისა ან თუჯის ქვაბში სამ გირვანქა ნახევარი წმინდა სპილენძის შაბიამანი უნდა ჩაჰყაროთ და ზედ დაასხათ ოთხი ბოთლი ცხელი წყალი. შაბიამანი გაიხსნება წყალში და ლურჯი წვენი დადგება. ეს კარგად უნდა აირიოს ხის ჯოხითა და არევის შემდეგ დაუცადოთ ვიდრე გაცივდება. როცა გაცივდება, უნდა ჩაასხათ ორი ბოთლი ნიშადურის წყალი (нашатырный спиртъ). რა წამსაც ნიშადურის წყალი დაესხმის, მაშინვე აიჭრება წვენი, შედედდება სოსანის ფრად, და როცა სულ ორს ბოთლს დაასხამთ, ისევ მალე გაიშლება, გაიხსნება. მერე ძალიან კარგად უნდა მოურიოთ. მორევის შემდეგ მშვენიერი მუქი ლურჯი წვენი დადგება წყაროსავით ანკარა.

ამის შემდეგ უნდა ან ბოჭკა, ან სხვა რამ მაგარი ჭურჭელი აიღოთ ორმოც-და-თოთხმეტ თუნგიანი, შიგ ჩაასხით ორმოც-და-თერთმეტი თუნგი წყალი და ზემოხსენებული მუქი-ლურჯი წამალი დაასხით და კარგად მოურიეთ. ეს არის სრული წამალი, რომელსაც მეცნიერებმა «ლურჯი წყალი» დაარქვეს და ჩვენც ამ სახელს ვიხმარებთ.

«ლურჯი წყალი» ძალიან დიდხანს შეინახება კარგად დაცმულ ბოჭკაში, მაგრამ სჯობია-კი, რომ კაცა მზად ზემოხსენებული მუქი-ლურჯი წვენი იქონიოს, იმიტომ რომ ცოტა ჭურჭელს, ცოტა ადგილს ახაფრებს და სწრაფად შეიძლება «ლურჯ-წყლად» გადაკეთდეს. ამისათვის ის მუქი ლურჯი წვენი თუნგ ნახევრიანს მინის ჭურჭელში უნდა ჩაასხათ, კარგად დაუცოთ პრობკით, ქაღალდი მიაკრათ ზედ და დააწეროთ: «6-ი ბოთლი მუქი-ლურჯი წვენია, ლურჯის წყლის მოსამზადებელი».

ამისთანა ჭურჭელს თუნდა 5-ს, 10-ს აავსებთ ამ წვენითა, იმისდა მიხედვით თუ—რამოდენა ვენახი გაქვთ, და შეინახავთ, მინამ დაგჭირდებათ. წინად მომზადება ამისთანა უებარის წამლისა და ქონვა დიდი რამ არის ვენახის პატრონისათვის. როცა ჭირი გაუჩნდება ვენახს, თითო ამისთანა ჭურჭელს პირს მოხსნის კაცი, ორმოც-და-თოთხმეტ თუნგიანს ბოჭკაში ორმოც-და-თერთმეტ თუნგს წყალს დაასხამს, ერთის მინის ჭურჭლის მუქ-ლურჯს წვენს ჩაუმატებს, აურევს და წამალიც მზად არის. საცა მილდიუ უკვე არის, ან ... ფილა, იქ ყველგან ვენახის პატრონს ეს ლურჯი წვენი წინად მომზადებული უნდა ჰქონდეს ... ამასთან ისიც უსათუოდ საჭიროა, რომ ზემოხსენებულის ზომით ჰქონდეს მიცემული სპილენძის შაბიამანი, ნიშადურის წყალი და ისე წყალი.

არის სხვა უებარი წამალიც, რომელსაც «ბორდოსის წვენს» ... ხიან. ამისათვის კაცს ორი ჭურჭელი უნდა ჰქონდეს. ერთს ჭურჭ...ში, ოც-და-ათ თუნგიანში, ჰყ... სპილენძის შაბიამანს და ... ოთხს თუნგს წყალს ასხმენ, ...რეში ჰყრიან ქვა-კირსა, წყ... უსხმელს, ოც-და-შვიდმეტ გირვანქას და ნახევარს და ზედ ასხმენ შვიდ თუნგს და ნახევარს წყალსა. კირი უნდა მთლად გაიშალოს წყალში და ცოცხავით გასქელდეს. ძალიან კარგად უნდა დაერიოს კირსა, რომ შიგა და შიგ დაგუნდებული არა დარჩეს-რა. როცა გაცივდება კირი, უნდა თითებ შუა სინჯოს გახსნილი კირი, იმის შესატყობლად თუ,—ხომ არა დარჩარა გაუშლელად და გაუხსნელად. თუ აღმოჩნდა ამისთანა რამ, კიდევ კარგად უნდა აურიოს კაცმა.

---

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

*«დიპლომიან» ქალების მტერი.—ქალბატონი ჟიპი.—ჩემი ნაცნობი ქალი.—ვერა, ვერ გავბედავ!—გარიბალდის ცხოვრება.—გარიბალდის ცოლი ანიტა.—ანიტას მხნეობა.—ანიტას სიკვდილი.—რას ამბობს ამერიკელი ქალი მამაკაცებზე?—უკაცოდ სახლი არ ვარგა.—უქალოდ?*

— თქვენს ქალს სად ასწავლით?

— ცოტას ხანს მონასტერში სწავლობდა, ახლა-კი შინ მე თითონ ასწავლი.

— კარგია, ქალების გიმნაზიაში არ აგიციათ?

— ღმერთმა დამიფაროს! რა უნდა აკეთოს იქა?

— «დიპლომს» მაინც მიიღებს...

— ჰმ, დიპლომი!.. ეგ თქვენი დიპლომი გინდა გახიეთ, გინდა გაფხიწეთ! რა გამოსდგება? რა თავში ხლის ჩემი ქალი მაგ თქვენს დიპლომს?

— ბატონო, უფლება?.. საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა?..

— კმარა! ნუ გამაგონებთ! ეგ ძველი, დალექილი და ათასჯერ გადაექილი ამბავი გახლავთ!.. დიახ, ბატონო, სწორედ ეგ დიპლომი ჰღუპავს კიდეც ჩვენს ქალებსა!.. წარმოიდგინეთ, ერთს ჩემს კარგად ნაცნობს ქალსა ვკითხე:

— რაზე იჭირებ საქმეს, რომ აგიტეხნია, უთუოდ გიმნაზიაში უნდა გავათაო სწავლაო?

— დიპლომი უნდა მივიღოვო,—მიპასუხა.

— რა საქმე ვაგჭირებია? რად გინდა ეგ დიპლომი?

— არაფრად, ისე,—ყველასა აქვს დიპლომი და მე რომ არა მქონდეს, ხომ სასაცილოდ ამიგდებენ,—უსწავლელია, «უდიპლომოაო»!

დიაღ, ბატონო, ერთმანერთის წაბაძვა გვღუპავს კიდეც ჩვენ, ქალებსა. ერთმა სთქვა, და ეხლა ყველას აგვიჩემებია, აგვიხირებია და ამ დიპლომზე, „მსწავლულობაზე" ვართ გადარეულები! მეტის-მეტის სიწმინდემაო, იმისი არ იყოს, ამ მეტისმეტმა «მსწავლულობამაც» ლამის ჭკუა გამოგვლიოს, ტვინი გაგვილაყოს, გული გაგვიწყალოს, ჯანი დაგვილიოს,—და ჩვენ-კი ავტეხილვართ: დიპლომები გვინდაო!..

შეჰხედეთ ახლა ამ „დიპლომიან" ქალებსა: ქალს ქალობა აღარ ეტყობა. სადღა შეჰხედებით ეხლა ქალს, რომ «მსწავლულობაში» თავი დაედოს და ამასთან კიდევ შეჰრჩენოდეს სიცოცხლე, სალი ჯანი, წყლიანი სიტყვა-პასუხი, მართებული მიხვრა-მოხვრა, გონების გამჭრიახობა, მხიარული გული, სიცოცხლით სავსე კასკასი,—ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ყოველთვის ყოფილა და კიდეც იქნება ქალის დამამშვენებელ ღირსებად, ის, რითაც ქალი იზიდავს, ატკბობს და აბედნიერებს კაცის სიცოცხლეს...

**

უკაცრავად! ბოდიშს ვიხდი მკითხველების და მეტადრე მკითხველ ქალების წინაშე. დამავიწყდა წინადვე მეთქვა, რომ ზემოდ ნალაპარაკევი მე არ მეკუთვნის. ამას ამბობს ერთი საფრანგეთის მწერალი-ქალი, სახელად ჟიპი. მე-კი,—ღმერთო, ხომ შენა ხარ გულთა-მხილავი,—ღმერთმა დამიფაროს, რომ გულშიაც არ გავიტარო ასეთი უმზგავსი აზრი. ღმერთო შემცოდე, და ისიც-კი გავიფიქრე: ქალბატონი ჟიპი იმიტომ ჰლაპარაკობს ასე, რომ თითონაც ქალია და ქალი ხომ ყოველთვის ქალის მტერია. კარგია თქვენმა მზემ! თითონ მწერლობაც დაუწყია, სახელიც მოუპოვებია, და სხვებს-კი უკიჟინებს, რომ თქვენის «მსწავლულობით» და «დიპლომებით» ქალობასა ჰკარგავთ და შეძენით-კი ვერაფერს იძენთო... ქალის შური გული და უსამართლობა ათქმევინებს მხოლოდ ამასა!..

მართალია, პუშკინიც ამბობდა:

Не дай Богъ мнѣ сойтись на балѣ
Съ семинаристомъ въ черной шали,
Иль, при разъѣздахъ на крыльцѣ,
Съ академикомъ въ чепцѣ!

მაგრამ რა ვუყოთ. განა პუშკინი რომ დიდი ნიჭიერი პოეტი იყო, ვერ შესცდებოდა? მართალია, სემინარიელები და აკადემიკოსები, ქალი თუ კაცი, ქუდოსან-სერთუკოსანი, თუ, პუშკინისა არ იყოს, ხილაბანდ-კაბოსანი მოსაწონნი არ არიან; მე ჭირსავით ვერიდები და თქვენც ღმერთმა დაგიხსნათ, მკითხველებო, იმათთან ლაპარაკს,—ახირებული, ჭირვეული ლაპარაკი იციან. მაგრამ მაინც ვამბობ, რომ ქალბატონი ჟიპიც და ბატონი პუშკინიც ცილსა სწამებენ ქალებსა.

რა ქალბატონი ჟიპი და რა პუშკინი! აი დღეს, საფრანგეთში სახელგანთქმულს მწერალს, ბატონს ზოლას, რა უთქვამს ერთის თავის ნაცნობისთვის.

ერთს ახალგაზდა მწერალს დაუწერია მოთხრობა. ავტორს ძრიელ სდომებია თავის მოთხრობა იმ გაზეთში დაებეჭდა, საცა ზოლა თავის ნაწერებს ჰბეჭდავს ხოლმე. ამიტომ ჯერ ზოლასათვის მიუტანიათ მოთხრობა გასასინჯად. ზოლას მოთხრობა მოსწონებია. ამ ხანებში თვით მოთხრობის ავტორი ავად გამხდარა და შეუტყობინებია ზოლასათვის, რომ ჩემს მოთხრობას ჩემი და წაიღებს რედაქციაშიო. ზოლას ამაზე ფიცხლავ ასეთი პასუხი მიეწერა: «ღმერთმა დაგიფაროთ, რომ თქვენი ნაწერი ქალის ხელით გაჰგზავნოთ. რედაქციაში იფიქრებენ, რომ თვით ქალია ავტორი მაგ მოთხრობისაო, რედაქცია-კი ისე ერიდება მწერალ-ქალებს, როგორც ჭირსა, და თქვენს მოთხრობასაც თავის დღეში არ დაჰბეჭდავენო».

თვით მწერლებიც-კი ა'ე უყურებენ ქალებს, თავიანთ თანამოკალმეებსვე. ამიტომაც საფრანგეთში ქალი თუ სწერს, მალულადა სწერს და თუ საქვეყნოდ გამოაქვს თავის ნაწერი, გამოაქვს სიფრთხილით, შიშით, ხშირად, ძრიელ ხშირად კაცის სახელით. სახელ-განთქმულმა ჟორჟ-ზანდმა ხომ არამც თუ ქალური სახელი კაცის სახელზე შესცვალა, როცა წერა დაიწყო,—ტანისამოსსაც-კი პირველ ხანებში, ვიდრე დიდს სახელს არ მოიპოვებდა, კაცურს ატარებდა.

*
*

როცა სპილენძის შაბიამანი გა[...]ხსნება წყალში და კირიც სულ [...]ლად გახსნილი იქნება და ცივი, [...]აშინ კირი და შაბიამანი ერთს დიდს ჭურჭელში, 45 თუნგიანში, ერთად უნდა მოაქციოს კაცმა. გამოვა ლამაზი ხოხანის ფერი თხლე, მაგრამ ისეთი სქელი-კი აღარა, როგორც კირი იყო. ამ თხლესა ჰქვიან „ბორდოსის წვენი". ეს წვენი რომ დადგათ, ძირს სქელს ხოხანის ფერს ლექს გაიკეთებს და ზემოდამ ანკარა წყალი იქნება. როცა წამლად უნდა იხმაროს კაცმა, უნდა უსათუოდ კარგად დაურიოს.

როცა სენი გამოჩნდება, მაშინვე უნდა ეს წამალი შეასხა თვითვეულს ვაზსა მთელს ვენახში. ამისათვის, [...]საკვირველია, კარგი იქნება, [...]მ უქარო და მშრალი დღე [...]ს, რომ წამალი შერჩეს ვაზის [...]თოლსა. ზაფხულის განმავლობა[...]ში რამდენჯერმე უნდა ასხუროს [...]ზს ეს წამალი, მაშინ უფრო სა[...]მედოა და უებარი. ეს კი უნდა [...]ვიხსომოთ, რომ ორის კვირის [...]ინად დაკრეფამდე წამალი აღარ [...]ნდა იხმაროს და აღარ უკეთოს [...]აზსა. მეტად ცუდი რამ არის, [...] ეს კაცმა დაივიწყა და უსათუოდ [...]ასრულა.

მაისიდამ დაწყებული მთე[...] ზაფხულის განმავლობაში [...]ერ მაინც ეს «ლურჯი წყა[...] [...]ნდა შეასხას კაცმა ვაზებს [...] ვენახი ამ ყოფით უნდა მემოიაროს. ამ ლურჯს წყალს დიდს ბადიებში ასხმენ, შიგ ცოცხს ასველებენ და ამით ასხურებენ ხოლმე ვაზს. ჩვენებური კაცი, მინამ ამას ყოველსავე სცდის, წინასწარვე გაიტეხს გულსა და იტყვის: ერიჰა!.. მოდი და შენ თვითეულს ვაზს ცალკე ეს წამალი გაუკეთეო.

ტყუილად გაიტეხს გულს და ყოველს ამაში ძნელი არა არის-რა. არის ერთი მაშინა, რომელიც ძალიან სახერხოა ვაზის გაწუწვისა და სხურებისათვის. ამ მაშინას ვერმორელის მაშინა ჰქვიან და შვიდმეტ მანათიანიც არის და ოც-და-ხუთ მანათიანიც. ამ მაშინით ერთს კაცს დღეში ორის დღის ვენახის სხურება შეუძლიან თურმე.

ამ სახით არც წამალია ძნელად გასაკეთებელი და არც ძვირია, არც მაშინაა ძვირი და არც ბევრი ხარჯი უნდა ვაზის წამლით გაწუწვას და მხოლოდ სურვილი და ბეჯითობა-ღაა საჭირო, რომ ვენახის პატრონმა ვენახიც და მოსავალიც გადაირჩინოს ამ საშინელის ჭირისაგან.

ჩვენ ამ საქმეს თვალ-ყურს ავადევნებთ და თუ რამე სანუგეშოს შევხვდით, ჩვენს მკითხველებს თავის დროზედ ვაცნობებთ. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენებურმა ვენახის პატრონმა გვაცნობოს თავისი ნახული, ნაცადი თუ გაგონილი იმ საკითხავების თაობაზედ, რომელნიც ჩვენ ჩვენს წერილში ჩამოვთვალეთ ეხლა-ხან ჩვენის გაზეთის მე-14 ნომერში.

## ახალი ამბავი

*** 28 იანვარს, წმ. პალლადის სახელობაზედ, თავისი დღეობა გადაიხადა მისმა ყოვლად უუსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ. მწირველი ბრძანდებოდა თვითონ ეგზარხოსი თავის კარის ეკკლესიაში, დიდ-ძალი სამღვდელოება დაესწრო ამ დღეობას. მდაბიო ხალხით სავსე იყო ეკკლესია. ეგზარხოსმა პალლადიმ ინატრა მრავალ ჟამიერ დღეგრძელობა ღვთის მშობლის წილად ხვდომილის საქართველოსი. შემდეგ მილოცვისა, მისმა ყოვლად უუსამღვდელოესობამ დაურიგა ხალხს პატარ-პატარა სამღვთო წიგნები რუსულსა და ქართულს ენაზედ. წირვის შემდეგ ეგზარხოსს წვეულობა ჰქონდა თავის სახლში. მიპატიჟებული იყო ასამდე კაცი.

*** ტფილისის ქალაქის თავს დეპეშით უთხოვნი თავად დონდუკოვ-კორსაკოვისათვის, რომ მისმა ბრწყინვალებამ იშუამდგომლოს პეტერბურგში და დააჩქარებინოს, რათა «პრიკაზის» თაობაზედ მალე მიეცეთ შეღავათი მამულისა და შენობების პატრონებს.

*** ავჭალის ქუჩის ქვეშ ჯერ არხი არ არის გაყვანილი, რის გამოც მეტადრე შეწუხებულნი არიან მცხოვრებნი. წვიმების დროს ხომ ამ ქუჩაზე ისეთი ნიაღვარი მოვარდება ხოლმე, რომ ფეხით და ფაიტონით სიარული შეუძლებელი ხდება. სახლის პატრონები მოწადინებულნი არიან არხის გაყვანას და დიდის სიამოვნებით იკისრებენ ხვედრს ფულს, მაგრამ მოთავე არავინა ჰყავთ. კარგს იზამს ქალაქის თვით-მმართველობა, რომ მიეშველოს მცხოვრებლებს და არხი გააკეთებინოს.

*** 24 იანვარს, ღამის პირველს საათზე, სასახლის ქუჩაზე ორს ხელოსანს რაღაცაზე ჩხუბი მოუვიდათ. ეძგერნენ და მთელი ნახევარ საათი სულ ცხვირ-პირი ამტვრიეს ერთმანერთს. პოლიციელნი არსადა სჩანდნენ. როგორც იყო, მიმომსვლელთ გააშველეს მოჩხუბარნი.

*** ახალციხე: ჩვენის ქალაქისთანა უსუფთაო და ბინძური ქალაქი იშვიათია. ქუჩებსა და ბაზრებსაც რომ თავი დავანებოთ, ისეთი საზიზღარი ადგილებია, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. აილეთ თუნდა ის უშველებელი ღელე, რომელიც ახალს ნაწილს თავიდამ ბოლომდე შუაზე ჰყოფს. იმის სიახლოვეს გავლა თვალ-დაუხუჭავად და ცხვირ-პირ აუხვევლად შეუძლებელია. ამდენადვე უწმინდური ღელე ერთიც სხვა არის. სწორედ გასაოცარია, როგორა სცოცხლობენ აქაურები! გასაშტერებელია, აქამდის რატომ ჟამი არა ჰჩნდება აქა?!. ჩვენის ქალაქის გამგეობა-კი ისე უყურადღებოდა სტოვებს ამისთანა «ბუჩულებსა», თითქო მცხოვრებთ მოწამვლა, გაქლეტა სწადდესო. თავიანთი თავი მაინც შეიბრალონ ბ-ნმა ხმოსნებმა.

*** იქიდამვე: კვირას, 24 იანვარს, სცენის მოყვარეთ გამართეს ქართულ-რუსული წარმოდგენა აქაურ საქალებო სკოლის სასარგებლოდ. ქართულად ითამაშეს «ხანუმა» და რუსულად ვოდევილი. «Побѣдителя не судятъ». ანტრაქტებში ხან სამხედრო მუსიკა უკრავდა, ხან რუსულადა მღეროდნენ. საზოგადოდ მთელმა საღამომ მხიარულად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო. ჯერ პიესა «ხანუმა» ისეთი რამ არის, რომ უფერულ თამაშობაზედაც-კი მაყურებელს გაამხიარულებს და, თუ მოთამაშეთაც ივარგეს,—როგორც ამ ხელად მოხდა, ხომ, რა თქმა უნდა, აღტაცებაში მოიყვანს ხალხსა. დიდის მადლობის ღირსნი არიან, როგორც წარმოდგენის მოთავენი, ბ-ნი ნ. ალექსი-მესხიშვილი და ქ-ნი ა. მუსხელოვისა და აგრეთვე ყველანი, ვინც-კი არ დაჰზოგა თავისი უსასყიდლო შრომა წარმოდგენისათვის. აგრეთვე დიდის მადლობის ღირსია აქაური მემამულე ფიზულა ბეგი, რომელმაც შესწირა სკოლის საქმეს 10 მან. ამ წარმოდგენამ ცხადად გვიჩვენა, რომ ჩვენ ახალციხეში სცენაზე თამაშობაც შესძლებიათ და მაშასადამე მოსახერხებელია ისეთის საქველ-მოქმედო წარმოდგენების მართვა, რომლებიც ხალხსაც დიდად ასიამოვნებს. წმინდა შემოსავალი თერთმეტ თუმნამდეაო, ამბობენ.

*** ზუგდიდი: ამ თთვეში მობ[...]ძანდა ზუგდიდში ახალი მაზრის უფროსი, გვარად ბ-ნი ზაბელინი. [...] ამბავი ზუგდიდელებისათვის და თვით ჩვენის მაზრის მკვიდრთათვისაც უმნიშვნელო არ არის. დღეს ყველა ამაზე ლაპარაკობს ჩვენში და [...]ს გამოკითხვაშია, თუ როგორი კ[...] გამოგვადგება ახალი მმართველი [...] მაზრო საქმეებისაო.

*** იქიდამვე: ამ ბოლოს დროს ქურდობა ცოტა არ იყოს გახშირდა და დიდი მხნეობაა საჭირო, რომ მოისპოს ეს ბოროტება. ღამე ისე არ გაივლის, რომ ქურდობა არ მოხდეს ზუგდიდში. თუ თვით ქალაქში ასეა, მაზრასაც დიდი სიკეთე არ აყრია. კაცის კვლა და სხვა გვარი ავაზაკობა იშვიათი იყო სამეგრელოში და ამ ბოლო ხანებში-კი როგორღაც გახშირდა. რაიცა შეეხება ჩვენის ქალაქის სისუფთავეს, ამაზე ნუღარასა მკითხავთ: ქუჩები საშინელი უსუფთაოა და ტალახიანები.

*** პიატიგორსკი: ჩვენს ქალაქში მოხდა ერთი საყურადღებო ამბავი, რომელმაც აქაური საზოგადოება ერთობ ააყაყანა. 19 იანვარს გვეწვია პეტერბურგიდგან ერთი ვიღაც ალენნიკოვი. მოსვლის დღესვე გამოსცა აჭრელებული აფიშები: კონცერტი მექნება 20 იანვარსაო, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზეო. მეორე დღეს საკმაო ხალხი შეიკრიბა დანიშნულს ადგილს და მოუთმენელად ელოდნენ კონცერტის მოსმენასა, რადგან პიატიგორსკში ძალიან იშვიათია ამ გვარი დროს გასატარებელი საღამოები. მაგრამ ამ საღამოს საზოგადოების სურვილმა ცარიელ სურვილად ჩაიარა დღევან ღლამდის. შვიდ საათიდამ თორმეტამ-

---

ნეტა რა უნდა იყოს ყველა ამის მიზეზი-მეთქი,—ვამბობდი ჩემს გულში... სწორედ ამ დროს შემხვდა ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ქალი. ჩემი ნაცნობი ნასწავლი ქალია, სწავლა სრულადა აქვს დამთავრებული და ამის მოწმობაცა აქვს, დიპლომი, ნამდვილი, ათგან ხელ-მოწერილი და ბეჭედ დაკრული.

ჰო, შემხვდა ჩემი დიპლომიანი ნაცნობი ქალი, და, ვერ მოვითმინე, მაშინვე ყველაფერი ვუამბე. ვუამბე და ვკითხე:

— როგორ მოგწონთ ეს ქალბატონ ჯიპის აზრი-მეთქი?

— განა სულელები ქვეყანაზე ცოტანი არიან? ნეტავი თქვენ, რომ მაგეებს ყურს ათხოვებთო?

— ნეტავი ქალბატონი ჯიპი «დიპლომიანია», თუ არა-მეთქი?—ვიკითხე ალალ-ბედობაზე.

ჩემმა ნაცნობმა ქალმა ძლიერ იწყინა ჩემი კითხვა და მრისხანე თვალით შემომხედა.

ეხლა მივხვდი მხოლოდ, რომ ჩემი კითხვა უადგილო იყო, და რომ ჩემი ცოდვა როგორმე მომენანიებინა, ფიცხლავ ლაპარაკი გადავასხვაფერე. ვილაპარაკეთ ამ მთისაზე, იმ მთისაზე, და ბოლოს როგორღაც სიტყვამ მოიტანა და მოგვაგონდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ჩვენი ორთავესი კარგი ნაცნობი იყო.

— ჰო, მართლა,—კინაღამ დამავიწყდა: ამ დღეებში ვნახე ის თქვენი ნაცნობი, თქვენა გკითხულობდათ.

— რა მინდაო?

— ისე, ნახვა მინდაო, ძალიან მოსწონხართ.

— სტყუით!

— გეფიცებით.

ჩემს ნაცნობს ქალს ძლიერ ეამა: სახე აუციმდა, თვალები აენთო.

— თქვენც მოგწონთ ის ყმაწვილი კაცი?—ვკითხე.

— მომწონს, რატომ არ მომეწონება? ჰკვიანია, კარგი მოლაპარაკე, საზოგადოებაში მხიარული და ამასთან პატიოსანი და საქმის ერთგულიცა სჩანს.

— მაშ,—უკაცრავად-კი კადნიერებისათვის,—და შეირთავდით, რომ ეთხოვნეთ?

— ვერა, ვერ გავბედავდი!

—როგორ?—გავიოცე,—განა ჰკუა, პატიოსნება, საქმის ერთგულება საკმაო არ არის, რომ ქალმა კაცი შეიყვაროს, თუ-კი სხვა წუნს არა სდებს? არ მესმის!..

— ყველაფრით მომწონს-კი, გითხარით და კიდევაც გეუბნებით, და მითხოვებით-კი ვერ მივეთხოვები: სამსახურში არ არის...

სხტად დარჩომილმა სიტყვა შევაწყვეტინე და ვკითხე:

— ხომ იცით გარიბალდი რა კაცი იყო-მეთქი?

— გარიბალდს ვინ არ იცნობს, მაგას განა კითხვა-ღა უნდა!

სთქვა ეს წყენით და ტუჩი აიფხლიკა, არ ვიცი იმიტომ-რომ უზრდელად სიტყვა შევაწყვეტინე, თუ იმიტომ-რომ ისე ვკითხე გარიბალდზე, თითქო სრულიად უსწავლელი ქალი იყოსო.

— უკაცრავად, მე სულ სხვის თქმა მინდოდა. ამ ცოტა ხანებში გამოსულა გარიბალდის ცხოვრების აღწერა, თვით გარიბალდის ხელით ნაწერი. ბევრი საყურადღებო რომ არის ამ ნაწერებში. თუ გნებავთ, მოგახსენებთ ერთ-ორს ამბავს.

— სთქვით, ყურს გიგდებთ, მითხრა როგორღაც უგულოდ, თითქოს უნდოდა ეთქვა,—ნეტავი სხვა რაზედმე დაგეწყო ლაპარაკიო.

**

ოც-და-ორის წლისა ყოფილა გარიბალდი, როდესაც პიემონტში, იტალიაში, მონაწილეობა მიუღია შეთქმულობაში. ამ შეთქმულობას საგნად ისა ჰქონდა, რომ დაეხსნათ გაენთავისუფლებინათ იტალია, ხომ იცით, შეთქმულობა რითაც გათავდა? მხოლოდ გარიბალდიმ მოასწრო და თავს უშველა. კარგა შორს იყო იტალიაზე, როდესაც გარიბალდიმ გაზეთებიდამ შეიტყო, რომ სარჩობელას ვერ ასცდებოდა, თუ დროზედ თავი არ დაეხწია და არ გაქცეულიყო. გარიბალდის იტალიის ახლო-მახლო ქვეყნებში აღარ ედგომილებოდა, და ამიტომ ფეხი დაჰკრა და სამხრეთ-ამერიკაში ამოჰყო თავი.

უცხო ქვეყანაში არავინა ჰყავნდა, ლუკმა პურისათვის უნდა ეფიქრნა. ჯერ ვაჭრობას მიჰყო ხელი, მაგრამ არა გამოვიდა-რა, ვერაფერი ვაჭარი გამოდგა. მერე კარტოფილის სანთლების ჩამოსხმა დაიწყო. ვერც მესანთლეობას გააყოლა დიდხანს თავი. ამასობაში ომიც ასტყდა ამერიკაში. ერთი პატარა სახელმწიფო ეომებოდა მეორე დიდს სახელმწიფოს. გარიბალდი მაშინვე პატარას, დაჩაგრულს სახელმწიფოს მიემხრო. შეკრიბა ორასიოდე თავის მემამულეები,—რომელნიც ამერიკაში სცხოვრობდნენ, პატარა ხომალდებიც შეიძინა, რადგან ზღვაზე ომი უფრო ეხერხებოდა და ემარჯვებოდა, ვიდრე ხმელეთზედ. ომი დიდხანს გაგრძელდა და ბოლო მაინც არ უჩანდა. დრო გამოშვებით იტალიიდამაც სხვა-და-სხვა ამბავი მოდიოდა. გაიგებდა თუ არა გარიბალდი იტალიის სახელს, გული აუტოკდებოდა ხოლმე.

«საკვირველიაო, ამბობს ერთს ალაგას გარიბალდი,—რომი უფრო ძლიერ შემიყვარდა მას შემდეგ, რაც ძალად გამაძევეს და მომაშორეს სამშობლოს. რომი ჩემთვის რაღაც წმინდა სალოცავად შეიქმნა, რომზე უძვირფასესი აღარა იყო-რა ჩემთვის მთელ დედამიწის ზურგზე. რომი და იტალია, იტალია შეერთებული, განთავისუფლებული, ჩემთვის ერთი და იგივე იყო».

გარდა ამისა, ამავე დროს გარიბალდის სხვა ნაღველიც შეეპარა გულში. მოჰბეზრდა ამდენს ხანს უსახლკაროდ ყოფნა, გულში რაღაც სურვილი გაეღვიძა. დრო იყო საკუთარი კერა გაეჩაღებინა; ცხოვრებაში ქარტეხილის და ზღვის ღელვის მეტი არა ენახა-რა; საჭირო იყო ხანდა-ხან მაინც გული მოესვენებინა ოჯახობაში, შინაურ მყუდროებაში. უნდა ცხოვრების მეუღლე ეშოვნა. იშოვნა კიდეც, და იშოვნა თავისებურად. აი თვით გარიბალდი როგორ გვიამბობს:

«ერთს დღეს ვიჯექი ჩემის ხომალდის ბანზე, ზღვის პირას. უსაქმოდ ვიყავ და გული ძლიერ დამინაღვლიანდა. შევხედე, ზღვის პირას ვიღაცა ქალი დგას. ბევრი აღარ ვაცადე,—ჩავჯექ მაშინვე პატარა ნავში და ნაპირზე გავედი. ქალთან ერთი კაციც იდგა. გამოვემცნაურე,—იმათაც ყავაზე მიმიწვიეს. ერთს დღეს დავრჩი იმათთან. ქალი უფრო ძრიელ მომეწონა, გული სრულიად დამიტყვევა იმის სიტურფემ...

«როგორღაც დავრჩით მარტოდ ორნი. ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერა ვბედავდით, მხოლოდ ერთმანერთს თვალი თვალს გავუყარეთ და ესე დიდხანს შევყურებდით. ვუყურებდით ერთმანერთს ისე, თითქოს დიდის ხნის და კარგი ნაცნობები ვიყავით, მხოლოდ ვერ მოგვეგონებინა, როდის და სად გვინახავს ერთმანერთი... აღარ ვახანე, თავი დავუკარ და ვუთხარ გაბედულად: «შენ ჩემი უნდა იყო-მეთქი». მერე მევე შემრცხვა ჩემის ლაღობისა. ქალმა ხმა არ ამოიღო, მიჩუმდა, მიინაბა, თითქოს ალალმა დაჰქროლა და გული გაუხეთქაო. ჩემმა სიტყვებმა, ჩემმა გამბედაობამ თურმე სა-

დე ელოდებოდნენ ალენნიკოვს, აი, ეხლა გამოვა სცენაზედ, აი, ეხლაო, მაგრამ, თურმე ნუ ბრძანებთ, ბილეთების ფული, რაც-კი შემოსულიყო, საათის რვაზედ კასირისათვის გამოერთმია და იმ წამსვე უჩინ-მაჩინის ქუდით გამქრალიყო ზემოხსენებული არტისტი. დღესაც მიდის. ზოგისთვის ნოტებიც დაუტყუვნია და წაულია. ამაზედ სასტიკი გამოძიებაა დანიშნული.

*** გაზ. «Каспій»-სა სწერენ ზაქათალიდამ: საზოგადოებას ძალიან იამა, რომ აქაურს სასწავლებელს მიუმატეს სახელოსნო განყოფილებაც. მაგრამ ცუდი ის არის, რომ სასწავლებელში უფრო ბეგების შვილებს იღებენ, ვიდრე ღარიბებისას, მაშინ როდესაც პირველთ თითქმის სრულიად არას არგებს ხელოსნობა და მეორეთათვის-კი აუცილებელი საჭიროებაა.

*** იმავ გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, რომ სოფელ კახში, ზაქათალის ოლქაში, ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის მეცადინეობით, მოასუფთავეს ქუჩები, გააკეთეს ქვაფენილები და ფარნებიც-კი დადგდესო. გარდა ამისა, დანიშნეს ასასები, რომელნიც ჰყარაულობენ სოფელსა. ყველაფერი მოსაწონიაო, — ამბობს კორრესპონდენტი, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა აქაურობა, რომ ბ-ნი ბოქაული ყურადღებას მიაქცევდეს ძველ ეკკლესიების ნაშთებსაო. ხალხის გარდმოცემით, ეს ეკკლესიები თამარ დედოფლის აშენებულია. დღეს თათრებმა ეს წმ. ნაშთნი გააუწმინდურეს და პირუტყვთა სადგურებად გარდააქციესო.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ მე-19 ნომერში, მესამე გვერდზედ, შეცდომით არის დაბეჭდილი გვარი ავტორისა: „წერილი რედაქციის მიმართ“. დაბეჭდილია: დ ა ვ ი თ ჯ ი ნ ო ვ ი, უნდა იყოს: დ ა ვ ი თ ჯ ა ნ ო ე ვ ი. თვით რედაქციის შენიშვნაშიაც ესევე გვარი შეცდომით არის მოხსენებული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თიანეთი, 19 იანვარი. გუშინ, 18-ს იანვარს, აკურთხეს ფშავის ხეობაში ახალი ეკკლესია ღვთის-მშობლის სახელობაზედ აშენებული; მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, სამღვდელო კრებულითურთ. ეს ეკკლესია აშენეს სოფელს ჯოგოლაში, სადაც ახლად მონათლული ქისტები სცხოვრობენ, თვით ჯოგოლელებმა, ყარელ-წყალელებმა, სუბუქელებმა, ბირკიანელებმა და ომალოელებმა; სოფელ ჯოგოლას და ომალოს გარდა სხვა სოფლებში სცხოვრობენ ფშაველები და თუშები, მაგალითად, სოფ. ყარელ-წყალში 40 კომლი ფშაველი, ბირკიანში 30 კომლი თუში და ფშაველი, სუბუქში 7 კომლი ფშაველი და ომალოში სცხოვრობს 36 კომლი გაქრისტიანებული ქისტი. ეს სულ ეს სოფლები პანკისის ხეობაზედ ახლად გაშენებულებია, ამათ აქამომდე ეკკლესიის მაგიერობას უწევდა ფიცრული ოთახი და ეხლა მღვდელ ელისნენ რიგიანს ეკკლესიას. ზემოთქმულ სოფლებს გარდა პანკისის ხეობაზეა სოფელი დუისი; ამ სოფელში სცხოვრობს 80 კომლი ქისტი მაჰმადიანი.

ეკკლესიის კურთხევაზედ დაესწრნენ ქრისტიან ქისტების გარდა, მაჰმადიანი ქისტებიც. ამათ ეპისკოპოსის წირვა თურმე ძლიერ მოეწონათ. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა ნარჩ ქრისტიანეთ შესაფერი სიტყვა უთხრა. ქისტებმა სთხოვეს ყოვლად-სამღვდელოს, რომ შემდეგშიაც ნუ დაგვივიწყებ და ხშირად გვესტუმრეო.

ქრისტიან ქისტებმა ეპისკოპოსს შესჩივლეს, რომ ჩვენ მაჰმადიანობისას ქრისტეს სარწმუნოებას მივიღებდით, გარდასახადი წელიწადში ექვსი აბაზი გვერთმეოდა, და შემდეგ გაქრისტიანებისა მეორე წელსვე გარდასახადი მოგვიმატეს, სამს მანეთს და თერთმეტს შაურს გვახდევინებენო. ამავე დროს-კი ჩვენს მოძმე მაჰმადიანებს ისევ ექვსს აბაზს ახდევინებენო. ქისტები თხოულობდნენ, რომ ან ჩვენც იმათ თანასწორად გარდაგვახდევინეთ, ან არა-და იმათაც მოუმატეთ და ამით დაგვიხსენით მაჰმადიანების დაცინვისაგანაო. ჩვენ მზადა ვართ კიდევ მეტიც გარდავიხადოთ, მაგრამ მაჰმადიანების დაცინვას-კი ვერ ავიტანთო.

საზოგადოდ 1887 წელი პანკისის ხეობის მცხოვრებთათვის შესანიშნავია იმით, რომ ამ წელიწადში ააშენეს აქ ქრისტიანებმა ეკკლესია და მაჰმადიანებმა —მეჩეთი. მეჩეთის აშენებაზედ მაჰმადიანებს ზოგიერთები ხელს უშლიდნენ იმ მოსაზრებით, რომ მეჩეთმა და მოლამ შესაძლოა ქრისტიან ქისტებზედ გავლენა იქონიოს და მაჰმადიანობისადმი მიდრეკილება დაჰბადოს იმათშიო, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ.

—

ამ ზამთარშივე გაჰქურდეს სოფ. მაღაროს-კარის ეკკლესია ფშავში. მოიპარეს მხოლოდ ფული 40 მანათი, რომელიც ქვის იატაკს ქვეშ დარაბში ყოფილიყო შენახული. როგორც ამბობენ, ამ ბოროტ-მოქმედებს უთუოდ შინაური ჩაიდენდა, რადგან გარეშეს არა შემთხვევაში არ შეეძლო ამ ფულის პოვნა.

ხ.

## წვრილი ამბები

— იშვიათი თვით-მკვლელობა მომხდარა ამას წინად ვენაში. ვიღაც კარლ განკე, ხელობით თერძი, თავისდა საუბედუროდ, მრუდე ფეხებით დაბადებულა. ეს ბუნებრივი ნაკლულევანება ძალიან გულს უკლავდა თურმე საცოდავს, რადგანაც მცნობი და უცნობი ყველა იმას დასცინოდა. ბოლოს განკემ გაბედა წასულიყო, სამკურნალოში დაწოლილიყო და ოპერაცია გაეკეთებინა, რადგან იმედი ჰქონდა, ამ ერთს ფეხს რომ გაასწორებ, დაცინვას და სასაცილოდ აგდებას გადაურჩებოდა. ხოლო იმისდა საუბედუროდ, გასწორებული ფეხი გრძელი აღმოჩნდა თურმე თავის ამხანაგზედ და განკეს უფრო მეტად და უფრო ძლიერად დაუწყეს მასხრად აგდება. ახლა მეორე ფეხზედ აქმნევინა ოპერაცია, მაგრამ აქაც უმტყუნა თურმე ანგარიშმა, რადგან ვერ ერთი მუხლები დაუსუსტდა, მეორე ფეხები მაინც ოგრო-ბოგრო ჰქონდა და გრძელ-მოკლე, რის გამოც უფრო დასცინოდნენ. უბედურმა განკემ ვეღარ აიტანა თურმე და ამ დღეებში თავი მოიკლა დამბაჩით.

— ამერიკელთა გაზეთ-ჩვეულებას საურთებს სხვათა შორის შემდეგი ამბავიც იმის შესახებ, თუ როგორ გაუმკლავდნენ ერთმანერთს ქალაქ ბოსტონის მოქალაქენი, დალაქი ბროუნი და ნოქარი ტომპსონი. ეს ბატონები ერთსა და იმავე დროს გარშიყებოდნენ თურმე ერთს ლამაზს შავგვრემანს ყმაწვილს ქალსა, რომელსაც ვერ გაებედნა და არ იცოდა, რომელი აერჩია ორში, რომელს გაჰყოლოდა მეუღლედ. ბოსტონის დულცინეა ბოლოს იმ აზრს დასდგომია, რომ დეე შეყვარებულთა იკრივონ და ვინც გაიმარჯვებს, ჩემი საბედოც ის იქნებაო. და აგერ ორნი შეყვარებულნი შეიყარნენ ერთს მშვენიერს დილას დანიშნულს ადგილას და დაიწყეს კრივი. ამ კრივზედ დაესწრნენ ქალის ნათესავებიც, რათა გადაეწყვიტნათ, თუ რომელს უნდა ჰრგებოდა ქალი. საუბედუროდ, კრივში ვერც ერთმა ვერ დასძლია თურმე, თუ ანგარიშში არ ჩავსთვლით იმ გარემოებას, რომ კრივის შემდეგ ერთი მოკრივე «მშრალაგს დამჯერს» დაემგზავსა თურმე და მეორეს-კი სახე ისე ჰქონდა დასიებული, თითქო ევროპის რუკააო. ეხლა ეს მებრძოლნი მოუთმენლად მოელიან იმ დროსა, როცა პირისახენი მორჩებიან, რომ კვლავ გაუმკლავდნენ ერთმანერთს.

— ამას წინად 200 გარდახვეწილი უმსხვერპლია ერთს უბედურებას, გამოწვეულს ამერიკის რკინის გზების უწე[illegible]ბით. ეს 200 კაცი ნიუ-იორკიდგან საკლეთს ამერიკაში მიემგზავრებოდა. რკინის გზის გამგეობამ ჩასხა ყველანი ერთის კალიფორნიის მატარებლის ვაგონში, რომელიც სულ ბოლოში იყო მიბმული. ზემორის ახლო, კალიფორნიაში, ეს ბოლოზედ მიბმული ვაგონი მოეხსნა მატარებელს და მარტო იარიადა რამდენსამე ხანს, რაც შიგ მსხდომთ ვერ შეამჩნიეს თურმე. შესახვევზე ვაგონი გადაბრუნდა თურმე და თორმეტის საჟენის სიმაღლეზე სულ ტრიალით წავიდა. ამ უბედურებას ზედ ისიც დაემატა, რომ ვაგონს ცეცხლი მოედო, რადგან ბუხრები გახურებული იყო, და ამ გვარად 200 გარდახვეწილში ერთი არ გადარჩა მთელი. უმეტესობას იქვე დაულევია სული და დანარჩენი-კი ზარალად არის დაშავებული და დამახინჯებული.

— იმ გავრცელებულმა ხმამ, რომ დასჯილის პრანცინის ტყავისაგან ერთ მოსამართლემ თავისთვის ქისა გააკეთებინა, პარიჟის ჟურნალ-გაზეთობას მოაგონა ის ბარბაროსთა დრო, როცა დამარცხებულ მტერთა ტყავს დოლსა და ნაღარას აკრავდნენ ზემოდგან. ლონგობარდების მეფე ალბოინმა თავის მიერ დამარცხებულ გომთა მეფის თავის ქალისაგან ღვინის სასმელი გააკეთებინა და მაღალ-მაღალთა ასმევდა ამ ჭურჭლით ღვინოს იმ მეფის ქალს, როზამუნდას, თავის მიერ ძალათი შერთულს ცოლსა. ეს ამბავი ეხლა ადამიანს აგონებს, არაკად მიაჩნია, ხოლო ვენის საზოგადო მუზეუმში იყო აგრეთვე ითხის კაცის განი, გაკეთებული თავით და დაყენებული ცოცხლის ადამიანისავით. შეჰხვდებოდით თუ არა მუზეუმში, რომელიც 1796 წელს დაარსა იმპერატორმა ფრანც მე-II, იდგა ბაროსულს ტახთ-სადგმელში ზანგი, მარჯვენა ხელი მაღლა ჰქონდა აშართული, თითქო სალამს აძლევს ვისმეო, და თავზედ სხვა-და-სხვა ფერი ფრთები ეკა-

---

ცრად გასჭრა. ქალი გამომყვა. ამ გვარად შევკარ ნასკვი და ეს ნასკვი მხოლოდ სიკვდილმა გახსნა. ხელთ ვიგდე ისეთი საუნჯე, რომლის ბადალი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა...

«ეს ქალი გახლდათ ანიტა, ჩემი ცოლი, დედა ჩემის შვილებისა, ერთგული მეგობარი, თანამოზიარე ჩემის ბედნიერებისა და უბედურებისა. ანიტა ერთგულად, მხნედ, მამაცად ეწეოდა ჩემთან ჩემის ცხოვრების მძიმე უღელს, ისე მხნედ და მამაცად, რომ ხშირად მე თითონ შევნატროდი ხოლმე იმის სულის ძალ-ღონესაო.»

**

მართლაც და საოცარი დედაკაცი იყო თურმე გარიბალდის ცოლი.

ერთხელ, როდესაც გარიბალდი სადღაც იყო წასული, იმის ხომალდებს მტერი დაეცა. გარიბალდის ცოლმა ითავა უფროსობა ჯარისა და მტერი მოიგერა. საკუთარის ხელით გასტენა ზარბაზანი ყუმბარით, თითონვე ესროლა და მტერი განდევნა.

ცოლი თავს არ ანებებდა მაშინაც-კი, როცა გარიბალდი შორს გაედევნებოდა ხოლმე მდევრად მტერსა. ერთხელ ზამთრის ყინვაში და ქარ-ბუქში, ამერიკის უდაბურ და გაუვალ ადგილებში, გარიბალდის ფეხით მოუხდა თავის ჯარით უკან დაბრუნება. ცეცხლში და ტყვიაში გამოვლილმა, ბევრის მნახველმა, გამოჯეჯგილმა ჯარის კაცებმაც-კი ვერ აიტანეს ესეთი გზა. გარიბალდის ცოლი-კი სამის თვის ძუძუთა ყმაწვილით ხელში გულ-გაუტეხელად, მხნედ, მოდიოდა, შიმშილს, სიცივეს მხნედ იტანდა, დაუძლურებულებს ამხნევებდა.

როდესაც გარიბალდიმ ამერიკას თავი დაანება და იტალიაში წამოვიდა სამშობლოს საშველად, ანიტაც თან გამოჰყვა. ყველა ომში ცოლი გვერდში ედგა და ამხნევებდა, სულს უდგამდა იტალიის ჯარებსა. სამშობლოში ბედმა უმტყუნა გარიბალდის. ხელად მოკრეფილმა, გაუწვრთნელმა, პაწია ჯარმა ვერ უძლო კარგად მომზადებულს და გაწვრთნილს ჯარს მტრისას. დამარცხებული გარიბალდი უნდა გაქცეულიყო და თავისთვის ეშველა. თავისმა ჯარმაც მალე უღალატა. ერთი პატარა ჯგუფი ერთგულის მამულიშვილებისა-ღა ჰყვანდა თან, როდესაც იტალიის ერთ ქალაქიდამ მეორეში გადადიოდა და იმალებოდა. ბოლოს ესენიც შემოეფანტნენ. შეჰრჩა მხოლოდ თავისი ერთგული ცოლი ანიტა. ბოლოს ანიტამაც ველარ შესძლო. ის იყო გარიბალდიმ ზღვას მიატანა და იტალიას უნდა მოჰშორებოდა, რომ ცოლი ავად გაუხდა. საწყალი დედაკაცი ცხენით მისდევდა გარიბალდის, მანამ ზღვამდე მოაწევდნენ. ანიტა ორსულად იყო და ვერ აიტანა ცხენით სიარული. ერთს პატარა სოფელში ავად გახდა და რამდენსამე დღეში სულიც განუტევა.

გარიბალდი მწარედ დასტიროდა თავის ერთგულს და ძვირფასს მეუღლეს. მაგრამ ტირილის დროც აღარა ჰქონდა. უნდა საჩქაროდ დაემარხა და მალე წასულიყო, თორემ მდევარი ფეხ-და-ფეხ მისდევდა.

**

უკაცრავად, მგონი თავი მოგაწყინეთ ამდენის ლაპარაკით, — ვუთხარი ჩემს ნაცნობს ქალსა, რომელიც ბოლოს და ბოლოს უფრო გულმოდგინეთ მიგდებდა ყურსა. — როგორ მოგწონთ გარიბალდის ცოლი, ანიტა?

— სამაგალითო ქალი ყოფილა!

— განა?.. როგორ გგონიათ, დიპლომი ექმნებოდა ანიტასაც თუ არა? ან რომ გაჰყვა გარიბალდის, წინადვე იცოდა, რომ გარიბალდი სამსახურში არ იყო და არც შევიდოდა, თუ არა?

— თქვენ, მამაკაცებზე რატომ აღარაფერს იტყვით? — მითხრა გულისწყრომით ჩემმა ნაცნობმა ქალმა. თქვენ-კი უკეთესები ხართ ჩვენზე?

— როგორ გითხრათ... მაგრამ, სჯობს ქალის აზრივე გაიგოთ მამაკაცებზე. ამ ცოტა ხანებში ერთ ამერიკელს ქალს წერილი დაუბეჭდია მამაკაცების შესახებ. თუ გნებავთ, გიამბობთ ამ წერილის შინაარსს.

— აბა კიდევ რას იტყვით?

«მამაკაცები უცნაური ხალხიაო, — ამბობს ამერიკელი ქალი. ზვათე ნომრის წაღებს ატარებენ და ხვნეშიან. ქუდებს თავის დღეში წმინდად, ფაქიზად არ ატარებენ და ქოლგები ხომ მუდამ დაგლეჯილები დააქვთ. საზოგადოებაში, მეტადრე ქალების საზოგადოებაში ლაპარაკი არ უყვართ: ლაყბობააო, და ლაყბობა-კი ქალების ხელობააო. როდესაც-კი მარტოდ შეიყრებიან კლუბში ან სხვაგან, გაცხარებულ ლაპარაკს ასტეხენ ხოლმე, ლაპარაკობენ პოლიტიკაზე, ხან ჰკრაობენ კიდეცა. მამაკაცები სულ იმას გვეჩხუბებიან, რომ მდიდარ და მოდაზე შეკერილ კაბებს ნუ იცვამთო, რაც ქალი უფრო სადად, უბრალოდ არის ჩაცმული, მით უფრო მოსაწონიაო. სტყუიან, და ვაი იმ ქალის დღესა, ვინც ამათ სიტყვას დაიჯერებს და ამათ რჩევას მიჰყვება. ბევრს ინანებს: — მერწმუნეთ, სადად ჩაცმული რომ შეხვიდეთ, თუნდა სადმე კრებაზე, ყურადღებას არავინ მოგაქცევთ, ადგილსაც არავინ დაგითმობთ. აბა ახლა მდიდრად, კეკლუცად ჩაცმული დაგინახონ, — უყურეთ, როგორ წამოხტებიან და მოსვენებას აღარ მოგცემენ: არა, აქ დაბძანდით, არა, აქაო!..

«მამაკაცს რომ სურდეს შეეყაროს, ისეთს ამბავს დააწევს, თავს ისე გიჩვენებთ, თითქო ეს-ეს არის სიკვდილისათვის გამზადებულაო...

«როცა კაცი შეყვარებულია, წითელს ყელ-სახვევს იკეთებს და მაგრად გახამებულს პერანგებს ატარებს. ბევრს ლაპარაკს ერიდება. თუ ჰკითხეთ რამე, ან ერთს «ჰოს» გეტყვით, ან ერთს «არას», რომ მალე თავიდამ მოგიშოროთ. გარდა ამისა, შეყვარებული კაცი თვალებს როგორღაც სხვა ნაირად ატრიალებს და ცხვირის ნესტოებს ათამაშებს...

«მოკლედ რომ ვსთქვათ, — მამაკაცი გარეთ, საზოგადოებაში რაღაც უბედურებაა, ღვთის რისხვაა... მაგრამ რაც უნდა ღვთის რისხვა იყოს გარეთ, შინ მაინც უიმისობა არ ვარგა...»

განა რომ ამერიკელი ქალი მართალს ამბობს. აქ-კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამერიკელები ჩვენზე შორს არ წასულან: ჩვენშიაც გან არ ამბობენ, — «უკაცოდ სახლი არ ვარგაო»!..

— თქვენ რას იტყვით?

— არც უქალოდ ვარგა სახლი.

ჩვენც ეგრე გვგონია, მხოლოდ არ გვესმის ესე უწყალოდ რას გადაჰკიდებია ქალბატონი ჯიპი «დიპლომიან» ქალებსა, და რად მოსწონებია გარიბალდს «უდიპლომო» ქალი?.. «ერთი საჭირ-ბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავიც ეს არის ეხლანდელს დროში».

დონ-იაგო

…ოებინა; ეს ზანგი იყო პაპა ავსტრი… მწერალის ედუარდ ფრეიგერ ფონ… ხტერსლებენისა. როდისღაც ამ …ანგს ანჯელო ერქვა, საშინელი ლამაზი იყო და მოსწონდათ როგორც ქალებს, აგრეთვე კაცებსაც. ამის გამო ზანგის სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა იოსებ მე-II ბრძანება გასცა, რომ განი აძრეთ მაგ ზანგსა, თივით გაატენეთ და მუზეუმში შეინახეთო. იმავე მეფის ბრძანებით, ასევე გაატენეს თურმე კიდევ ორი სხვა ზანგი და ერთიც ექვსის წლის ლამაზი ყმაწვილი ქალი. 1840 წელს მუზეის ცეცხლი გაუჩნდა და შიგ ამოიწვნენ თურმე ეს თივით გატენებული ზანგებიცა და პატარა ქალიცა.

# ნარევი

…რებული თაყვანის-მცემელი გამოსჩენია …ერს. ეს კაცი გახლავთ მილიონების პა…ონი რიჩჩი, რომელიც ლონდონს ახლო …ვრობს თავის საკუთარს მამულში. მის…ერ რიჩჩის წარსულს წელს უმოგზაურნია …ა განსაკუთრებულის სიყვარულით უსმენია …ვნერის ოპერები. დაბრუნებულა ინგლისში, …არებულს მილიონების პატრონს ზოგიერთ …ანაშემწეთა მეოხებით შეუკრებია კარგა ძა…ი ლამაზი, მაღალის ტანისა, ახალგაზდა …თრ-ყირმიზი და ქერა ქალები, თითოეულ …ლისათვის ცხენი უყიდნია, დაუნიშნავს …ველა მათგანისათვის თთვიური ჯამაგირი და თავის მხლებლებად გაუხდია. ყველა ზემოდ მოხსენებულის გარდა ახალგაზდა ქალებს მიუღიათ აგრეთვე თითო ხელი ტანისამოსი, და როცა მისტერ რიჩჩი მიბრძანდება სადმე, ეს ქალებიც თან ახლდებიან ამ…დრებულნი. ერთს მახლობელს ნათესავს …ამ მილიონების პატრონისას შეუტანია სასამართლოში იმაზედ საჩივარი და მოუთხოვნია, რომ დაიბარეთ და ექიმებს გაასინჯვინეთ მისტერ რიჩჩი; არა მგონია, თუ ჭკვათა-მყოფელი იყოსო. ხოლო სასამართლოს უარი უთ…მს და უპასუხნია: ჩვენ ნება არა გვაქვს …რძალოთ ვისმე, თუ ვინიცობაა თითონა …, რომ ამალა აქტაროს ერთისა თუ მე…ის სქესისაო.

**

დიდი ხანია ანდაზად გარდაიქცა ის გარემოება, თუ როგორის გულ-მოდგინებით ეძებენ და ჰშოულობენ ამერიკელი რეპორტიორები ახალს ამბავსა. იმათი ამბავი მოთხრობილია ბევრს პატარ-პატარა ანეკდოტებში, რომლის რიცხვს ერთი კიდევ უნდა მივუმატოთ. ერთს მშვენიერს დღეს ტეხასში შეხვდნენ თურმე ორი რეპორტიორი ერთმანერთს, სასწავლებლის მეგობრები იყვნენ და დიდი ხანია ერთ-ურთი არ ენახათ. რასაკვირველია, თქმა უნდა, რომ ამ დიდის ხნის ამხანაგების ერთად შეხვედრამ ისე არ ჩაიარა, რომ ერთმანერთი არ მიეწვიათ რაზედმე, არ მიეპატიჟნათ და ყელი არ ჩაეკოკლოზინებინათ. გამოთხოვებისას დაპატიჟებულმა ამხანაგმა უთხრა თურმე, რომ საღამოზედ სასტუმროში შემომიარე, სადაც ვბინადრობ, და ერთს კარგს …ქაურს ახალს ამბავს გაშოვნინებო. საღამოზედ მიპატიჟებული მივიდა თურმე სასტუმროში და თავის მეგობრის ოთახის კარების …ღება ვერ მოასწრო, რომ გაოცებული იქავე გაშეშდა და გახევებული დარჩა. იმის მეგობარს ქამრის თასმაზედ თავი ჩამოერჩო და …ერთუკის კალთაზე შემდეგის შინაარსის ბარათი ჰქონდა …ეკერებული: „უკაცრაოდ, …მაო, ბოდიშს ვიხდი, თუმცა ბევრი ვეწვალე, მაგრამ ამ ერთის ახალის ამბავის მე…ტი ვერა გიშოვნე-რაო“.

<>

# დეპეშა

28 იანვარი

…ეტერბურგი. ლექციების კითხვა …დესის უნივერსიტეტში 29 იანვრიდამ დაიწყება.

სამხედრო უწყების მიმართ გამოცემულის ბრძანებისამებრ, არტილერიის მთავარ-სამმართველოში უნდა შესდგეს ცალკე კრებული მხედრობის საომარ ფეხზედ დასაყენებლად.

«Гражданинъ»-ი იუწყება, რომ პეტერბურგში ფულის პატრონნი რუსნი არდგენენ საზოგადოებას მსწრაფლ-მოსიარულე სავაჭრო კრეისერებისასაო. ამ საზოგადოებას აზრად ისავე ექმნება, რაც კერძო ნაოსნობის საზოგადოებასა აქვს, ხოლო სხვა საფუძველზედ-კი იქმნება შემდგარი ეს ახალი საზოგადოებაო.

იგივე გაზეთი გვარწმუნებს, რომ განხილვა სატყეო მეურნეობის პროექტისა სახელმწიფო საბჭოში გადადებულ იქმნაო.

**სან-რემო.** სუნთქვა ისე გაუძნელდა მემკვიდრე პრინცს, რომ მკურნალთ გადასწყვიტეს, დაუყოვნებლივ ოპერაცია უნდა გაუკეთდესო.

**ბელგრადი.** პირველი არჩევანები სკუპშჩინისა თებერვლის დამლევს იქმნება. სამინისტრო იმედს იძლევა, რომ ადმინისტრაციას სასტიკად ექმნება აღკრძალული ჩაერიოს არჩევანების საქმეებშიო.

ლიბერალთა კრებაზე რისტიჩმა სთქვა, რომ მხოლოდ კავშირი სერბიასა, რუმინიასა და ბოლგარიას შორის დაიცავს მშვიდობიანობას აღმოსავლეთისკენა და მიანიჭებს ბალკანიის სახელმწიფოებს საპოლიტიკოსაცა და სარწმუნოებრივს დამოუკიდებლობასაცაო.

**ვენა.** თუმცა ოფიციოზურად უარჰყოფენ, მაგრამ ისე-კი აქ დარწმუნებულნი არიან, რომ რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრის სტურძას წასვლას ვენაში აზრადა აქვს, რუმინიაც სამთა კავშირს მიუამხანაგოსო.

29 იანვარი

**სან-რემო.** რადგან გერმანიის მემკვიდრე პრინცის სნეულება უფრო გაძწვავდა, ბერლინიდგან აქ დაბარებულ იქმნა ცნობილი დოსტაქარი ბერგმანი.

**ლონდონი.** დღეს დაიწყო პარლამენტი სეფე-სიტყვით, რომელშიაც გამოცხადებული იყო: ინგლისმა ყველა სახელმწიფოებისაგან ცნობანი მიიღო, რომ მეგობრული დამოკიდებულება გვსურს ვიქონიოთ და ამასთან მშვიდობიანობის დაცვასაცა ვართ მოწადინებულნიო. ამას გარდა სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ რა-კი გატარებული იქმნება ავღანის საზღვარი, იმედია, რაიმე უთანხმოება შეუძლებელი-ღა გახდება რუსეთსა და ინგლისს შორის შუა-აზიის სამფლობელოთა გამოვო.

პეტერბურგის ბირჟა 26 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 28 |
| ტამოჟნის კუპონები. | — ,, | — ,, | 186¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 265½ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 248¾ |
| გირავნობ. ფურცელნი | | | |
| ტფილისის ბანკისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — “ |

<>

# «ივერიის» ფოსტა.

**მელანიას:** თქვენი მოთხრობა რედაქციამ მოიწონა. მალე დაიბეჭდება.

# საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წლია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

იანვარი 31 დღით არის

30 დღე შაბათი. წმინდა სამთა მამა-მთავართა: წმ. დიდ ვასილისა, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. მარტინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ამ დღეს გარდაიცვალა ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი, რომელიც თეირანში მოჰკლეს 1829 წ.—გრიბოედოვი დასაფლავებულია წმ. დავითის ეკკლესიაში, ტფილისში.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 5—27. მთვარე 30 დღისაა.

31 დღე კვირა. საკვირველ-მოქმედ. იოანესი და წმინდა შიომღვიმელისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. პეტრე ნალიასკისა. სომეხ. წმ. პეტრესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 5—29. დაბადება მთვარისა 2 საათსა და 46 წუთზედ.

# გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური 1-ის ხარისხისა | | | 3 | » |
| 2 | › | | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | 5 | » |
| › | » | 2— | 3½ | › |
| › | › | 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | | | 4 | › |
| მე-3 — | | | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 8 | › |
| › | 2 | › | 7 | › |
| სუკი | | | 14 | › |
| ძროხის ხორცი | | | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | | 7 | › |
| › | 2 | › | 6 | › |

# მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

# მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი.... | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა.... | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა.... | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები.... | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი..... | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა...... | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი...... | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი... | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი... | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი... | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი..... | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო... | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი... | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი...... | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური..... | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი...... | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი...... | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი.... | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი........ | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა... | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა.... | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი... | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი. | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი.. | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი... | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა..... | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა... | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი....... | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი.... | 6 | 14 | 6 | 16 | | | | | |
| | | | | | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი...... | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი..... | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური..... | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი........ | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი..... | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო... | 8 | 5 | 8 | 7 | გორი...... | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი... | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი.... | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი.. | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი........ | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა...... | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი...... | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები.... | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა...... | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა...... | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი... | 11 | 13 | — | — | ტფილისი. | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი. | — | — | 3 | 21 | სურამი... | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა.. | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური.. | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა.. | 4 | 19 | 4 | 25 | გომი... | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი... | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი.. | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი... | 5 | 24 | 5 | 29 | გორი... | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი.. | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი.. | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი... | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი... | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი... | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი... | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი... | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ... | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური.. | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა... | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი.. | 8 | 50 | — | — | ტფილისი. | 8 | 24 | — | — |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50» | 5 „ | 5 „ 25» |
| 10 „ | 8 „ 75» | 4 „ | 4 „ 75» |
| 9 „ | 8 „ —› | 3 „ | 3 „ 50› |
| 8 „ | 7 „ 25» | 2 „ | 2 „ 75› |
| 7 „ | 6 „ 50» | 1 „ | 1 „ 50» |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.


Доз. цен. Тиф. 28, января 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე